

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან. ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисте, 1-я редакция «Дროба»

«დროების» ფასი მთლიან წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან. ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორგაბათს გარდა.

უასი განსხვავების სეროქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუთებლად გამოგზავნილ წერილებს. დაუბუთებელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუთებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიკი

მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გასეთს

## დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან. მუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან. ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან. გორში, საზოგადოების დეპოში, ადამიანი თუთავეთან. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: В. Тифлисте, 1-я редакция «Дროба».

ფასი ხელის-მოწერისა:

წლით (12 თვით) — — 9 მან.	6 თვით — — 5 მან.
11 თვით — — 8 მ. და 50 კ.	5 თვით — — 4 მ. და 50 კ.
10 თვით — — 8 მან.	4 თვით — — 4 მან.
9 თვით — — 7 მ. და 50 კ.	3 თვით — — 3 მან.
8 თვით — — 7 მან.	2 თვით — — 2 მან.
7 თვით — — 6 მან.	1 თვით — — 1 მან.
სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.	

ხვედრი ფული ხელის-მოწერა გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

## ტელეგრაფი

(ქრდილოეთის სააგენტოს.)

10 ნოემბერს.

პატივსაცემი. როგორც ისმის,

«დროების» ტელეგრაფი, 12 ნოემბ.

ჩვენი პირველ-დაწყებითი სკოლა

«დროების» ერთ ნომერში ამას წინადა იყო ლაპარაკი მოწინავე წერილში ჩვენი სკოლებისთვის საჭირო სახელმძღვანელოებზე. ამ წერილის შთაბეჭდილებათა გამო მსურს ორიოდ აზრი გაუზიარო «დროების» მკითხველებს ჩვენს პირველ-დაწყებით სკოლაში სახელმძღვანელოების უქონლობაზედ.

თუ ვაზომთ რასმე ამ საგანზე, არა იმიტომ, რომ ჩვენს თავსვე სახელმძღვანელოების სიღარიბე ვუკიყინოთ, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს სკოლის ერთგულ პირთ თვალ-ნათლივ დაგუბატოთ ჩვენი გარემოება და გამოვიწვიოთ ამ ნაკლებობის შესაწავლად. აგრეთვე ჩვენა გესურს შემდეგ ჩვენს სკოლების მდგომარეობის გაცნობისათვის მკითხველებს ვათქმევინოთ — შესაძლებელია ჩვენს სკოლას ეროვნული სკოლა ვუწოდოთ, თუ არა?

შველა ხალხის პირველ-დაწყებით სკოლების პროგრამა შემდეგია: 1) საბავშვო რჯული, 2) დედა-ენა, 3) არითმეტიკა, 4) სამშობლო ისტორია, 5) სამშობლო გეოგრაფია, 6) გეომეტრია, 7) ხატვა, 8) გიმნასტიკა, 9) სიმღერა. ბავსინჯოთ თვით-ეული სამოსწავლო საგანი.

სამღეთო რჯული. შველა სამოსწავ-

მომავალს წელს მოსკოვის ახლო მდებარე გუბერნიებს სენატორის რევიზია მოეღიოთ.

ჩინებისა. აქ ორი გრადუსი უინვა და თოვლიც მოვიდა.

ლო საგანს თავისი მეთოდურა ისტორია აქვს. რამდენიც დრო მიდის, იმდენად ყველა საგანი მეთოდურის და დიდაქტიურის მხრით ღორძინდება, ვარჯიშდება, იღებს თვით-მყოფობის ხასიათს. ისეთს პირველ-დაწყებითს რიგიან სკოლას ვერა ნახვით მეროპაში, სადაც სამოსწავლო საგანი ბავშვის დედა-ენაზე არ იყოს მოწყობილი და დაყენებული. რამდენათაც რიგიან გზას ადგას სკოლა, იმდენად აუარებელი სახელმძღვანელოები იბადებიან საგნის რიგიან სწავლებისათვის. ჩვენს პირველ-დაწყებით სკოლას სამღეთო წერილისათვის არამც თუ ორიგინალური სახელმძღვანელოები, გადმოთარგმნილებიც კი არა აქვს. მღვდლის სანციების «რედაქციის» ისტორია ქართულ ენაზე არამცთუ ჩვენ სკოლაში არ არის მისაღები, სკოლის გარეთაც იმით ვერაინ სარგებლობს, ისეთს ენაზედ არის გადმოღებული. მღვდლის ჯანაშვილის ისტორია ბევრით გაიჩევა ხსენებულის ისტორიისაგან, მაგრამ არც ის არის მეთოდურად შემუშავებული იმდენად, რომ მას შეეძლოს პირველ-დაწყებით სკოლას ხელმძღვანელობა გაუწიოს. რაც შეეხება მღვდლის ტურიების «ლოცვებს», ეს ლოცვები სიტყვა-სიტყვით არიან გადმოთარგმნილი სამოსწავლო სემინარიის პროგრამიდან. მერც ამ «ლოცვებით» შევსებთ სკოლის ნაკლებობებს.

ლონდონი. აქურმა ნაფიცთა სასამართლომ გადაუწყვიტა გალდენსა და გილს, რომელთაც სხვადასხვა მასალა უპოვეს ყალბი რუსული კრედიტის ბილეთების გასაკეთებლად, — პირველს შვიდი წლით სამუშაო სახლში დატუსადება და მეორეს ექვსი წლით.

პატივსაცემი. დღეს დაბრუნდა სამზღვარ-გარეთიდან სამხედრო მინისტრი ვანოვსკი. ვოგზალზე მიეგებნენ მას სამხედრო პირნი; მინისტრი მხნედ და საღად არის.

ნოვოროსი. სალდათს გერასიმოვს ათის წლის ქალის ძალით გაეპატიურებისათვის სამჯავრომ თორმეტი წლით გატარებაში გაგზავნა გადაუწყვიტა.

პარიში. მიიღეს ჩინეთის პასუხი უგანასენელ საფრანგეთის წინადადებაზე. მინისტრების გაზეთი «ტან»-ი ამბობს, რომ არ შეიძლება ჩინეთის ახალი წინადადების მიღება და პალატისაგან მოწონებული მმართველობის პოლიტიკის შეცვლა.

შამთა-ვიტარებისა გამო ჩვენ კვალში უნდა ვსდითოთ რუსეთის კულტურას — რუსეთის საზოგადო აზრს და გრძობის მოქრაობა, როგორც თვით რუსეთი დასაყვლეთი მეროპისას. პეილოთ რუსეთის პედაგოგიური ლიტერატურა. აბა შეხედეთ, რამდენ სამღეთო პირები იღწვიან სამღეთო რჯულის მეთოდურად შემუშავებისათვის. შველას თავი დაეანებოთ ავილოთ პატივცემულნი მღვდელნი პედაგოგები სკოლოგი დავეცოვი. ნუთუ ჩვენს სკოლას კი არ ეჭირება შემუშავებული სახელმძღვანელოები სამღეთო რჯულისა, ნუთუ სულ ფუჭად უნდა მიგვაჩნდეს ჩვენ პედაგოგიური მოძრაობა რუსეთის მამათა მღვდელთა? რაც უნდა ადვილი საგანი იყოს სკოლაში, მაინც შემუშავებულად მისი სწავლება არ იქნება: თუ ორიგინალური სახელმძღვანელოები არა აქვს, სკოლას ეყარება თავისი მნიშვნელობა და ფერი. დღეს ჩვენში ყველა გამოცდილს მასწავლებელს შეუძლიან სამღეთო რჯული სურათებით ასწავლოს ბავშვსა, მაგრამ ყველას რიგიანად არ შეუძლიან გადათარგმნოს, შემუშავოს რუსულიდან სურათის მინარსი და გარდასცეს ბავშვსა. ჩვენს სკოლაში სამღეთო რჯული ჯერ უნდა გადითარგმნოს რუსულიდან და მერე გარდაეცეს ბავშვსა, რადგანაც მაშინ უფრო ერთი ათად გადავიღებოდა ამ საგნის სწავლება, როცა მასწავლებელს ხელში ექნებოდა მეთოდური-

ლონდონი. ხმების, ვითომც ჩინეთი საფრანგეთს უღტიმატუმს უგზავნიდეს; უღტიმატუმში სწერენ, რომ ბანკინგის თავდასხმა ომის გამოცხადებას ეთანასწორება.

მაშინბომონი. აქურმა სამხედრო სამინისტრომ მიიღო ჩინეთის სახელმწიფოებთან მიწერილი ცირკულიარი, რომლითაც აცხადებს თავის უზენაესთა უფლებათ ანხამზე.

ბრაო. ნისლისგამო გერმანიის მემკვიდრე პრინცი აქ გადმოხდა და არა ვალენსიაში; აქაური, მცხოვრებლები ახტაცებით მიეგებნენ პრინცს, რომელიც ეტლით წავიდა ვალენსიაში.

სოქია. მინისტრთა რჩევამ გარდასწყვიტა სახელმწიფო რჩევა გაუქმდეს.

პარიში. კრე-წინასწარმეტყველმა მახთიმ გაწყვიტა ეგვიპტის ჯარი სუდანში.

რად შედგენილი სახელმღვანელო დედა-ენაზედ; ამიტომ საჭიროა ამ საგნის სახელმძღვანელო. შველა სამოსწავლო საგანს აზრად უნდა შექონდეს, რომ ბავშვს განუძრიელოს მეტყველება, გაუღვიძოს გრძობანი, წარმოადგენანი, გაუფართოვოს ცნობების ჰორიზონტი და შეუმუშავოს აზროვნება. შველა ამის აღსრულება შეუძლიან სამღეთო რჯულის, სწავლებას როგორც პირველ დაწყებითს აღმზრდელ ობობის სამოსწავლო საგანს, თუ მას პირველ დაწყებით სკოლაში დედა-ენაზე ექნება მეთოდურად შემუშავებული სახელმძღვანელოები. შამისოდ ეს საგანი სკოლას უკლავს ეროვნობისთვის.

დედა-ენა. რომელი ხალხის პედაგოგიურს ლიტერატურასაც გინდა გადაეღეთ თვალი — ყველგან ნახვით, იმდენი სახელმძღვანელოები, იმდენი ბაასი და ლაპარაკი არა სამოსწავლო საგნის თაობაზე არ არის რაც დედა-ენის შესახებ. პეილოთ თუნდ რუსეთის ლიტერატურა: სტოლიანსკიდგან დაწყობილი მიროპოლსკამდის რამდენი ხალხი მუშაობს ამ საგნის თაობაზე! რომელი კითხვა აღიძრა დედა-ენის სწავლების თაობაზე დასაყვლეთს მეროპაში, რომ რუსეთს უფურადღებოდ გაეშვა? შველა ეს იმითი აიხსნება, რომ რუსეთის პედაგოგებს სურთ სკოლა ეროვნებისადაგზე დაამყარონ. ჩვენს ლიტერატურას რომ შეეხე-



სახელმწიფო მართლების იჯარით  
გადაცემის თაობაზე.

თბილისი, 11 ნოემბერი.

ძვირად შეხედვით ჩვენში სოფელს რომ ეს საგანი არ აღვლევდეს; ძვირად შეხედვით მეტადვე სახელმწიფო გლახებს. რომელნიც მუშით არ შესტკეორდენ სახელმწიფო მამულს, უცხო მოვაჭრეთაგან დაპატრონებულებს და მასუკან მათზედვე გაცემულებს; — და მართლაც ამ ადგილებში გლახი ისე ვერ იცხოვრებს, რომ სახელმწიფო მიწაზედ ან საქონელი არ აძოვოს, ან თივა არ გაითიბოს ზამთრისათვის. მაისთვის სანეტარო ადგილი ყოველ დანიშნულ ვადაზედ იჯარით იძლევა და თუმცა გლახებისათვის უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ეს მამულები ყოველთვის მათ აეღოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე ისეა მოწყობილი, რომ იჯარით გასაცემი მამულები გლახებს ასტლებათ ხოლმე და მიუპატივებელ შუამავალთ უვარდებათ ხელში.

მანა არა მმართველობამაც მიაკცია ამას ყურადღება და შარშან-წინ განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც შუამავალნი ხაზინასა და თვით გლახებ შორის სახელმწიფო მამულების იჯარით გაცემის დროს

დღით, სამწუხარო სურათს შევხედვით. როდესაც რუსეთი დღესაც დასავლეთ-მარაბის პედაგოგიურ პრინციპებით, ჩვენ, ჟამთა ვითარების გამო, გაჩუმებულნი ვიყავით. როდესაც რუსეთში ერთი მეორეზე იბადებოდნენ სახელმძღვანელოები დედანისა, ჩვენ გულხელ დაკრფილნი ვისხედით. მხოლოდ ამ უკანასკნელს დროში ამოიღეს ხმა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა დედა-ენის თაობაზე...

დღეს ამ საგანში ჩვენი პედაგოგიურის ლიტერატურის თავსა და ბოლოს შეადგენენ ბ. ბოგებაშვილის სახელმძღვანელოები. «დედა-ენაზედ» და «ბუნების კარზე» კერძოდ და ბეჭდვით ბევრი კრიტიკული შენიშვნები წარმოთქმულა. ჩვენ ამ სახელმძღვანელოებს ვრცლად არ შევხებებით, მხოლოდ იმას კი ვიტყვით, რომ ორივე სახელმძღვანელო დიდს შეღავათს აძლევს ჩვენ სკოლებს უარაობის გამო. მაგრამ მართა ეს სარგებლობა სახელმძღვანელოებისა ვერ დაგვაფარებს პირზე ხელს და უნდა ვაღვიაროთ, რომ ორივე სახელმძღვანელოები პატივცემულის ავტორისა უფრო კომპლიატურს ნაწარმოებს წარმოგიდგენენ, ვიდრე ორგინალურს, თუმცა არც ეს შრომა ადვილი და აბუჩად ასაგდები, როგორც ბმანებენ ჩვენში ზოგიერთები. პედაგოგმა შინსკიმ, რომლიდგანაც ბ. ბოგებაშვილმა გადმოიღო «დედა-ენა» და «ბუნების კარი» («როდნოე სლოვოდგანა» და «დეტსკი მირიდგან»), თავის მხრივ დასავლეთის მკვრივად გადმოიღო მხოლოდ ახალი პედაგოგიური წესები დედა ენისა. ეს წესები განახორციელა ისე ხელოვნუ-

უნდა მოშორებულ იქმნენ, უწინდელი გუბერნატორი ბ. ბაგარნიცი ძალიანა ზრუნავდა, რომ ეს განკარგულება უქმად არ დარჩენილიყო და გლახ-კაცობას მითი სარგებლობა ენახა რამე. წესათაც დაადგინეს ჩვენში, რომ ვაჭრობა ამ გვარ მამულების იჯარით გაცემაზე თვით ალაგობრივ მომხდარიყო და არა სადმე ქალაქში, და ამით მომეტებულ ნაწილს გლახ-კაცობისას შეძლება მისცემოდა ვაჭრობაში შესვლისა, — ეს ყველაფერი კეთილის განზრახვით იყო ნამოქმედარი, მაგრამ განზრახვამ შესაფერი ნაყოფი ვერ მოიტანა და დღესაც ვხედავთ კიდევ, რომ ამ გვარი «დუმასავით მსუქანი ალაგებია», როგორც ჩვენი გლახ-კაცები ამბობენ, იჯარით ისე იმ ვაჭრებსა რჩებათ, რომელთაც უწინ რჩებოდათ; განსხვავება ეს არის, რომ აქამდის მოვაჭრე ძვირად თუ დაანებებდა თავს ქალაქში ვაჭრობას და მიმართავდა სოფელს, და ეხლა, რაკი ქალაქებში ვაჭრობა ასე დაცა, რაკი რიგი და რიგი მალაზიებისა ნახევარ-ფასად-და იძლევიან და მოვაჭრენი თვალ-გაფაციცებულნი შესტკეირიან გამგელ-გამომგელს, რა არის ეგება მუშტარი იყოს ვინმეო, — ამ ვაჭრებულს დროს უსაქმოდ დარჩენილმა ხალხმა უფრო მიმართა სოფლებს და გლახ-კაცებს კრიჭაში ჩა-

რად მოწყობილს ეროვნულს მასალაში, რომ იგი თითქო სარკეა, რომელშიაც მოწაფენი ხედავენ თავიანთ სულსა და გულსა. ასე, რომ შინსკის «როდნოე სლოვო» ნამდვილი ეროვნული საუნჯეა, გამოჭრილი რუსეთის სკოლების დანიშნულებაზე. ბ. ბოგებაშვილს რომ ეროვნულს მასალაში განებორციელებინა იგივე შინსკის სისტემა, მაშინ მისი «დედა-ენა» სულ სხვა იქნებოდა. რაც შეეხება «ბუნების კარს», არც ის არის პედაგოგიურად შედგენილი პირველ-დაწყებითი სკოლის საკითხავი წიგნი. შევლაფერს რომ თავი დაეხრებოთ, პატივცემულს ავტორს მივუთითებთ ერთ დიდს ნაკლულეფანებაზედ, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ამ წიგნიში: წიგნი არის დაწერილი დოგმატიურის კილოთი, თითქო ყველა საყმაწვილო წერილში მეცნიერული ლექსიააო. რაც კი რამ შესაძლოა ბავშვმა იცოდეს ცხოველებზე, ფრინველებზე და ადამიანზე, ავტორს ყველაფერი აქვს ნათქვამი, — რაღა დარჩა ბავშვს სათქმელად? ნუ თუ ყველაფერი ბავშვს მზად უნდა გარდაეცეს? მაშ რაღა საჭიროა მასწავლებელი, რაღა საჭიროა არიან ათას-ნაირი მისხვედრი კითხვები, რომელნიც იწვევენ და ავარჯიშებენ ბავშვში ცნობის-მოყვარობას, მეხსიერებას, დაკვირვებას და სხვ. ჩვენის აზრით არც ერთი საკითხავი წიგნი ბავშვებისა არ უნდა იყოს დაწერილი ამ კილოთი. ბარდა ამისა შიგა-და-შიგ ძალიან გრძელი წინადადებებით არის ხოლმე გამოთქმული აზრი; ესეც აბრკოლებს ბავშვებს, როცა იგინი ხორა-

ულდა. მართალია, ვაჭრობა ეხლა ალაგობრივად ჰხდება, მაგრამ მოკალაქებს ყოველ-გვარი ღონისძიება აქეთ უფრო ადრე შეიტყონ ალაგოცა და დროც ვაჭრობისა და საჭირო ღონისძიება მოიხარონ, ვიდრე გლახ-კაცებს. ამას გარდა რაღაცა მანქანებით ხშირად ისე მოხდება ხოლმე, რომ მაზრის სამმართველონი გლახ-კაცებს სწორედ იმ დღეს აცნობებენ ვაჭრობის ამბავს, რა დღესაც თითონ ვაჭრობაა დანიშნული, თითქო განგებ ჩადიოდნენ, ეგება გლახ-კაცმა ვერ მოასწროს თავდარიგის დაჭერა და ვაჭრობაში შესვლაო. მაგალითისთვის წაიკითხეთ ჩვენს გუბინდელ ქრონიკაში თელავდამ მოწერილი ამბავი.

ჩვენის აზრით ყოველივე სასიკეთო განკარგულება ამოდ ჩაივლის და გლახ-კაცობაც თავის დღეში ვერ შესძლებს მოვაჭრეებთან შეცილებას, თუ იმ მოხელეთ, ვისაც ეს საქმე აქეთ მიწოდებოდა, გულის ტკივილი არ ექნებოდათ გლახ-კაცობისადმი და ხშირად თავიანთ ჯიბის ინტერესს არჩევენ ნაკისრ მოვალეობის შესრულებას. სინიდიანი მოხელე უნდა ცდილობდეს დროზედ შეატყობინოს პირ-და-პირ მწარმოებელთ ვადა ვაჭრობისა და მით თავიდან ააცილოს გლახ-კაცობას სრულიად უბრალოდ ჩამდგარი შუამავალნი ხაზინასა და

თი კითხულობენ რომელსამე წეროლს.

ყოველივე ეს სრულებით არ გვაბრკოლებს ვაღვიაროთ, რომ ბ. ბოგებაშვილი ჩვენში ერთად-ერთი პედაგოგია, რომელსაც, თვისის ხანგრძლივის შრომის და ღვაწლის გამო დედა ენის შესახებ, ჩვენში ბადალი არა ჰყავს. რა იქნებოდა რომ ჩვენს სკოლებს ბ. ბოგებაშვილის «დედა-ენა» და «ბუნების კარიც» არა ჰქონოდა!

არითმეტიკა. არითმეტიკა, ანუ ანგარიში, ხალხის მოგონილი საუნჯეა. ანგარიში ახალი გამოგონილი არ არის. იგი მჭიდროდ არის შეკავშირებული ხალხის თვით-შეგნების გრძნობის აღორძინებასთან. ცხოვრებასთან ბრძოლა ხალხს ბევრს რასმეს ასწავლის. ისეთი ხალხი არ არის დედა-მამის ზურგზე, რომ თავისებური არითმეტიკა არა ჰქონდეს. პირველად არითმეტიკა უფრო მარტივი იყო; შემდგომი ცხოვრებასთან ბრძოლამ, ხალხის ურთიერთ შორის დამოკიდებულებამ, ვაჭრობის და მრეწველობის ნელ-ნელა აღორძინებამ არითმეტიკა განავითარა, შეავსო. ბოლოს იქამდის ვრცელდება და ღვივდება ეს საგანი, რომ იგი ჰხდება დედად რამდენიმე მეცნიერებისა, იგი ჰხადავს დიდებულის მეკლიდის «ელემენტებს» პითაგორის თეორემათ და სხ.

როგორც ვსთქვით, არითმეტიკა ყველა ხალხსა აქვს. არითმეტიკის ნაწილები: ოთხი მოქმედება, მარტივი და ათეული განაწევრები, პროპორციები, პროცენტები და თამასუქის წესები, ამხანაგობის წესი, ცხოვრების გამოგონილია, მხოლოდ მეცნიერებამ ყვე-

მის შორის, რომ გლახ-კაცობას, როგორც პირ-და-პირს მწარმოებელს, ძნელად შეეცილებინან მოსული ვაჭრები, თუ კი ამ საქმეს ერთგული აღმასრულებელი ეყოლება, — ეს ყველასათვის ცხადია, ვინც კი ამ უკანასკნელს დროს ცოტათიც არის დაკვირვება გლახ-კაცობის ყოფა-ცხოვრებას და იცის, როგორ ძვირად აფასებს იგი ყოველ მტკაველს მიწას და როგორ მზად არის უკანასკნელი პერანგიც კი გაჰყიდოს და მამული კი შეიძინოს ან საკუთრებად, ან სალალოდ, ან იჯარით.

სწორედ ამ აზრითვე ხელმძღვანელობდნენ ის წევრნი თავად-აზნაურობისა, რომელთაც სახელმწიფო ქონებათა მინისტრს წარუდგინეს, სხვათა შორის, ამ საგანზედაც მოხსენება.

შინაური ქრონიკა

დანიშნულებისა მებრ «დროების» რედაქციის ზალაში გუბინ შესდგა კრება ქართული სამეცნიერო ტერმინების შესამუშავებლად, რომელზედაც ოც-და-ხუთამდე პირი დაესწრო. ამ საღამოზედ შეასრულეს ხელმოწერად გადასინჯვა არითმეტიკის ტერმინებისა, რომელიც ამ მოკლე

ლა ეს წესები შეასწორა, შეავსო და შეასწავლებლად გადავიდა. შევლა ხალხს თვისი არითმეტიკა აქვს, თუ შეიძლება ამ სიტყვის ასე ხმარება. შევლა ხალხს თავისებური ზომა, თავისებური აღებ-მიცემობა, გასესხება, ამხანაგობა აქვს.

თუ სხვა ხალხსა აქვს თავისი არითმეტიკა, რასაკვირველია, ჩვენ, ქართველებსაც, ჩვენი არითმეტიკა გვექნებოდა, მით უფრო, რომ ჩვენში უხსოვარ დროიდგან იცოდნენ მამის-მუშაობა და ათას გვარი ხელობა. დღეს, არამცთუ ქართულად არითმეტიკა არ ისწავლება, ცხოვრებაშიც ჩვენს ენაზე ოთხ მოქმედების იქით არითმეტიკა არა სჩანს! სხვა ხალხის სკოლებში აუარებელი სახელმძღვანელოები არსებობენ არითმეტიკის შესახებ. ჩვენში არამცთუ მეთოდურად შემუშავებული დედა-ენაზე არითმეტიკა არ არის, რაც გვაქვს ისიც ისე არის შედგენილი, რომ ბავშვს არ შეუძლიან არითმეტიკა თავის ენაზე შეისწავლოს. იქამდის მიდის საქმე, რომ არამცთუ სახელმძღვანელოები, ტერმინებიც არა გვაქვს, რომ ჩვენში არითმეტიკა ქართულად ისწავლებოდეს. როგორც სამწუხარო არ არის, რომ ბერძენი, ფრანკული, ნემეცი, — ყველა ვისაც კი თავისი საკუთარი პირველ-დაწყებითი სწავლა აქვს, არითმეტიკას თავიანთ დედა-ენაზე ასწავლიან და ჩვენ კი არითმეტიკის მეთოდურად შემუშავება ჩვენს ენაზე მივიწყდეთ ვიღაც დიდებულებებისთვის, რომელთაც ისე ესმით სამოსწავლო საგნის მეთოდოლოგია, როგორც მე და



ხანში გამოცხადებული იქნება საყოველთაოდ საცნობარად. ამას გარდა მოწვეული იქნება მკოდნე პირნი თავიანთ შენიშვნათ გამოუგზავნონ კრებას და მას უკანონობის თვის შემდეგ, კრება ყველა ქართულის მკოდნეთა თანადასწრეთ ერთხელ კიდევ, უკანასკნელად განიხილავს როგორც აქ შემთავრებულ ტერმინებს, ისე უცხო პირთაგან წარმოგზავნილებს და გადაწყვეტს, არითმეტიკისათვის რომელი ტერმინები უნდა იყოს საბოლოოდ მიღებული. მკრთვე მოექცევა კრებასზე მეცნიერების ტერმინებსაც.

შემდგენის ხუთშაბათისათვის არის დანიშნული კრება გეომეტრიის ტერმინების შესამუშავებლად. იმედი გვაქვს, რომ ყველა ჩვენის წარატების მსურველი არ დაიზარებენ ამ კრებებზედ სიარულს და თავიანთ ვოდნის შესაფერად შეუწყობენ ხელს ამ ფრიად საქმირო საქმეს.

სიამოვნებით ვანობებთ მკითხველებს, რომ ბ. მიხ. ძიან. ძეს შიფიანს გადმოუღია ქართულს ენაზედ რამდენიმე სახელმძღვანელო იმ დასატიდამ, რომელიც პეტროვიჩმა გამოსცა რუსულს ენაზედ. ეს სახელმძღვანელოები ყველასათვის გასაგებად, ადვილის ერთ მოვითხოვდენ

მკითხველს ციურის სამეფას მანდარინების ენა. პირველ-დაწყებით სკოლაში არ არსებობენ არამცთუ საბავშვო სახელმძღვანელოები, არ არსებობს მასწავლებლოც, რომ მასწავლებელს არითმეტიკის სწავლება დაეწინაურებდეს.

გეოგრაფია. როგორც მიითხოვს ცნობილი პრინციპი პედაგოგისა—ახლოდგან შორს გადადი, ცნობილიდგან უცნობზედ და სხვან—პირველ-დაწყებით სკოლებში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს სამშობლო გეოგრაფიას. ამ საგნს სწავლება ბევრმა უნდა დაიწყოს საკლასო ოთახიდან და გადაიდეს თავის სამშობლო ქვეყნის გეოგრაფიაზე პქაც კიდევ გეოგრაფია ჩვენს სახელმძღვანელო. პრამცთუ სკოლისთვი შედგენილი და შემთავრებული სახელმძღვანელო, საზოგადოდად მახუშტის გეოგრაფიის გარდა ჩვენში გეოგრაფიის ჭკაუნებაც არ არის ძნელად მოუტანს ნაყოფს სწავლა თავის ერსა, როცა მას არც სახელმძღვანელო აქვს რომელიმე საზოგადოებრივ საგნისა და არც ასწავლიან საგანს იმ ენაზე, რა ენაზედაც უნდა ასწავლიდნ.

პქაც მხოლოდ ბ. მოგებაში იქნება და დეჟუსანელოთ მკითხველს, რადგან მხოლოდ ამან იზრუნა ამ საგნზედაც, შეჭკრიტა ერთად მასალა და რუკა შეადგინა. ამითი მასწავლებელს მისცა ღონისძიება ცოტათი მაინც რიგიანად წაიყვანოს ეს საგანი. მაგრამ საქმე ის არის, ყველა მასწავლებელს შეუძლიან ამ მასალით რიგინად ისარგებლოს? მითი სიტყვით ამ

თითქმის ყოველს ბუნების მეცნიერებას და ძვირფასი არიან მის მოვლენათა გასაცნობად. ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ. შაფიანი ამ წიგნებს დასაბეჭდად ამზადებს კიდევ. პი სია ამ სახელმძღვანელოებისა: 1) შესავალი ბუნების მეცნიერებისადმი ჭექსლისა, 2) ქიმიკა რუსკისა, 3) ფიზიკა ბალნურ სტუარტისა, 4) ფიზიკო-გეოგრაფია ჭეიკისა, 5) ასტრონომია ლოკერისა და 6) ფიზიკა ადვილ გაკვეთილებათ დაწერილი ჯონ ბინდლისა.

ჩვენ შევიტყეთ, რომ პეტერბურგიდამ გამოგზავნილი პრიკაზის საქმის თაობაზედ ჩინოვნიკი ბ. ბუხიენერგიულად შესდგომია მისდამი მინდობილ საქმეების გასინჯვას. ის ცდილობს მეტადრე პრიკაზში დაგირავებულ სოფლის მამულების გამოჩვენებას და სინჯავს აგრეთვე იმ თერამეტის ქართველი თავდაზნაურის საქმეს, რომელთაც პრიკაზში თბილისის მამულები დააგირავეს და რომელთ სიაც წარდგენილი იყო პეტეებისათვის.

მილოცვის ტელეგრაფაზედ ჩვენს ძალაქის თავს მოსვლია შემდეგი ტელეგრაფა დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის-ძისაგან: აღიდად ემადლობ ყველა თბილი-

საგანს ვიდრე ხერხიანად შედგენილი სახელმძღვანელო არ ექნება დედენაზე, იგი ჩვენი სკოლისთვის არ შეიქმნება სამოსწავლო-აღმზღველობით საგნად.

სამშობლო ისტორია. სამშობლო ისტორია, სამშობლო ენა, სამშობლო გეოგრაფია ყველა სკოლებში ალიარებულნი არიან უმთავრეს საგნოსწავლო საგნებათ. პრსად ისე ამკარად არა სჩანს ჩვენი უთაურობა, როგორც ამ საგანში. ნუ თუ ჩვენი დიდებულის წარსულიდგან რაც დღეს მასალა გვაქვს, იქიდან არაფის შეცდომას ჩვენში შემთავრებას და შეადგინოს ერთი მეთოდური სახელმძღვანელო? შეელო მასწავლებელმა იცის დღეს ჩვენში, რომ ამ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლაში, ბევრმა იცის მისი მეთოდოკაც, მაგრამ მასალა? საქმე მასალაა.

რადა ღაპარაკი უნდა იმ დიდს აღმზრდელობის მნიშვნელობაზე, რომელიც ამ საგანს აქვს პირველ-დაწყებით სკოლაში. რითი აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი პირველ-დაწყებით სკოლებიდან განვითარებული სოფლის ბავშვებს წერა-კითხვის მეტი არა რჩებათა, როცა იგიინი სკოლას ანებებენ თავს და ცხოვრებაში გადიან, თუ არა იმითი, რომ ტერმინების უქონლობის გამო ვერც ერთს ზევით ნათქვამს საგნებს ვერ ასწავლის ბავშვებს მასწავლებელი. ნუ თუ პირველ-დაწყებით სკოლა წერა-კითხვის სკოლაა და არა საზოგადო განვითარებითი დაწესებულება (общеобразовательное учреждение), რომელმაც უნდა აღვიზარდოს პატარა ენციკლოპედისტები?

სკოლებს მოლოცვისათვის. მხეილ. (მ. გ. გ.)

რაჭილამა სწერენ გზ. «მეკაზს», რომ უკანასკნელს დროს ამ მახრამი ძალიან გახშირდა ქურდობა და სხვა-და-სხვა გვარი ავაზაკობა. ამას გარდა ცამეტის წლის წინად ზოგიერთ სოფლებში სკოლები დააარსეს, მაგრამ ეს სკოლები წლითწლით ცარიელდებიან და ჰკარგავენ თავიანთ მნიშვნელობას, რადგან ხეირიანი მასწავლებლები არა ჰყავთ. სამი გამოსახელებლ-შემანხეელი ამხანაგობა თუმცა გაიხსნა ამას წინად, მაგრამ იმათაც ვერ იხიერეს და ერთმა მათგანმა, მისიამ, კიდევაც მოსპო თავისი მოქმედება. მხოლოდ არ ვიცით, ვის ხელში არის ამ ამხანაგობის თავნი ფული, რომელიც 2,784 მან და 47 კ. შეადგენს. ბოროტი ენები გვარწმუნებენ, რომ ეს ფული შექმულია.

რუსეთი

რადგანაც პეტერბურგში, მოსკოვში და სხვა მრავალს ქალაქებში უძრავ ქონებათა ფასმა ძალაძან დაიწია და შემოსავალმაც მეტის-მეტად იკლო, ამისათვის ქალაქების საკრედიტო საზოგადოებები

სატკ. არც ამ საგანსა აქვს ეგრეთ წოდებული აქაური ფერი. თუმცა იშვიათად მოიპოვება ისეთი მასწავლებელი, რომელსაც ყველა საგნების მეთოდოკა რიგინათ არა ჰქონდეს შეგნებული და შეთვისებული, მაგრამ რა ჰქნას მასწავლებელმა, რომელმაც სახელმძღვანელოების უქონლობის გამო თვითონვე უნდა შეადგინოს ყველა საგნის მასალა და ისე ასწავლოს. დამეთანხმებით, რომ საგნის მოხერხებული მასალის შედგენა არ არის ადვილი საქმე და არც შეუძლიან პირველ-დაწყებით მასწავლებელს.

ხატვა ჩვენში ეროვნულ მასალაში არ არის განხორციელებული, ჩვენის ცხოვრებიდან არა აქვს ბავშვს მასალა, როცა იგი ვარჯიშობს ხატვაში. ჩვენში ძალიან ისეთი სახელმძღვანელო ხატვისა, რომ ჩვენი ცხოვრებიდან იყოს სავარჯიშო სურათები და ბავშვი სიამოვნებით ჰხატავდეს. რასაკვირველია ჩვენს თაბასს, ან ვარცლს უფრო სიამოვნებით დახატავს ჩვენი ბავშვი, ვიდრე «ბოჩკას».

გეოგრაფია. რა თქმა უნდა, რომ თუ სხვა ხალხი ხმარობდა ამ საგანს ცხოვრებაში, ჩვენც ვინმარებდით მას, თუ სხვა ზომავდა სივრცეს, ჩვენც გაუზომავდით, რადგანაც ჩვენც დედამიწის ზურგზე გსცხოვრობდით. სამწუხარო ის არის, რომ ჩვენს ენაზე არამც თუ პირველ-დაწყებით სკოლებში, ცხოვრებაშიაც გეოგრაფია არ არის ისე გავრცელებული, როგორც სხვაგან. თუ სხვა საგნების სახელმძღვანელოებში საჭიროებს ჩვენში სწავლა, ამ საგანში მით უმეტეს

დაებათ გადასწავიტეს. ჩვენს დედამიწის წინანსთა სამინისტროს წინსწიქსი ტრეზნება მიეკეთ შთ უფრო დიდი გადასდგან სესხად მიცემულის ფულის შემოსატანად, და ამით შეამცირონ ყოველწლივ შემოსატანის სარგებელი. პეტერბურგის კრედიტის საზოგადოებას შეუმუშავება კიდევ ამის პროექტი.

ამას წინად ვაშუუთ ჩვენს შეთს-ველებს, რომ სახელმწიფო რეკაში წარუდგენიათ პროექტი, რომლის წინათაც გლეხთა ოჯახობანი ადგილობრივი გუბერნატორის ნება დაურთოვლად არ უნდა იყრებოდნენ ერთმანეთში. ამ საგანზე კრთის ჩვენის გასუთის მოწინავე წინადადება გამოკისტიეთ, რომ ამ გუბრის ზომა ერთად შემაჯიროვებელი და ცუდი შედეგის მიქონი ზომას საზოგადოდ გლეხ-ცნობის ოჯახობათათვის. ესეა გას. «რუსკი ვურთიადამ» კრეობილობთ, რომ განსხივის კომისიაც სასარგებლოდ მერ უნდნას ეს პროექტი, უარ-უყვია იგი და გლეხთა ოჯახობათა გაყრის შესახებ ისევე ისწავებ და უჩინას, რა წესებიც აქამდინ ახსუბობდენ, ე. ი. გლეხნი გაყრის დროს ისევე ისე შინაურულად უნდა მოიგდენ, როგორც აქამოდ იყო.

იგივე გასუთი ვაჭრეობისებს, რომ შინაურ საქმეთა სამინისტროს განზრახვას აქვს სასოფლო-სამეურნო საზოგადოებათა წესდებაში ბევრი რამ ცვლილება


სად, რადგანაც იგი მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს ცხოვრებაში.

გამხასტიკა. ასე გასინჯეთ, ამ საგანსაც კი არა აქვს შესაფერი ტერმინოლოგია ქართულის ენაზე, რომ მასწავლებელს შეეძლოს ეს საგანი ჩვენს ენაზე ასწავლოს ბავშვებს!

სიმღერა. სიმღერა ხალხის გრძობათა ისტორიაა. იგი ჰხატავს ხალხის სულის მოძრაობის ტრიკოს. იგი ერთის მხრით შეადგენს ხალხის პიროლოგიას და არის ხალხის სულის გრძობების ენა. სიმღერა კაცის სულის მდგომარეობაზე გამოკრილი, სულის მდგომარეობაზე მოქმედობენ ათას გვარი გარემუპირობობები, რის გამოც კაცი ხან მხიარულად არის, ხან ჯავრიანათ, ხან უყვარს, ხან სძულს და სხვანი. სულის მდგომარეობა კაცისა პირობების გამო იცვლება: ქორწილში სხვა კაცია, ნათლობაში სხვა, ურემხეს და კევრზე სხვა. აქედგან სიმღერებიც ბევრ ნაწილებათ იყოფებიან: მაცურული, ურემული, კევრული, სუფრული და სხ.

შეელო ამ სიმღერებს ფართოდ აღვილი უნდა ეჭიროთ ჩვენსში საუბედუროდ, ჩვენს ხშირად გვესმის ხოლმე ჩვენი სიმღერების ნაცვლად ჩემსა ბებიას ლურჯი თხის სიმღერა და სხვა მრავალი ამისთანა უფროს ლექსებისა. რასაკვირველია, ესეც ამითი აიხსნება, რომ ჩვენს არა გვაქვს ამ საგნის შესახებ ცალკე სახელმძღვანელო, რიგითად შემთავრებული! თუ სახელმძღვანელო არ ექნება ამ საგანს, მაშინ მისი რიგინად დაყენება ჩვენში შეუძლებელია, რის გამოც იგი ჰკარგავს დიდ მნიშვნელობას—სამოსწავლო-აღმზღველობით.





ბა მოხდინოს და ამასე პრექტორსაც ადგენს თურმე. სამინისტროს აზრით, საჭიროა, რომ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებანი მასწავლებელთა უფრო აზრდობდნენ, ვიდრე ქალაქებში.

— პეტერბურგში სმეხი გავრცელებულა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრი, დაბრუნდება თუ არა სამხლარ-გარეთიდან, იმ წამსვე სამსახურადამ დათხოვნის ქაღალდს შეიტანსო.

— უცხო ქვეყნური გაზეთები იწერებინან, რომ ჩვენ მოგვივინა ამბავი პეტერბურგიდან, ვითომც იმპერატორს ალექსანდრე III-ს კატოვი მიეღოს სასახლეში და მასთან მოლაპარაკება ქრონოდელო. ეს ამბავი პეტერბურგიდანვე მოსული ოპიციონალი ცნობებითაც მტკიცდება: «მოსკოვის უწყებებმა» დაუჭირა წერილი ბუღგარის მინისტრის წინააღმდეგ 28 ოქტომბერს (9 ნოემბერს ა.ხ. სტ.), მასთანავე იმის შემდეგ — კატოვმა რომ იმპერატორი ნახა, და ამის გამო სსენებულს წერილს დიდი მნიშვნელობა აქვსო.

— მკითხველებმა იციან, რომ უძალესის ბრძანებით კომიტეტი შესდგა იუსტიციის მინისტრის თავს-მჯდომარეობით, რომელმაც უნდა განისილოს სამოქალაქო კანონები და ახალი სამოქალაქო სამართლის წიგნის პრექტი შეადგინოს. ამ საქმის შესახებ იწერებინან, რომ კომიტეტი თავის მინდობილებას მომაკვალ საფუძვლამდინ ვერ გაათავებსო.

— ამას წინადა ჩვენ მოვიყვანეთ ცნობა რუსული გაზეთებიდან, რომ გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს რეინის გზების განათლება მატარებლების მოძრაობის დროს ელექტრონით შემოიღოსო. აქამდინ ამ საგანზე აღარა ისმობდა, და ესლა ვი რუსულ გაზეთებში იწერებინან, რომ სსენებულს სამინისტროს ხელახლად აღუძრავს ეს საქმე.

უცხოეთი

— მარკოზ მენგს საუბარი ქრონიკერის გაზეთის კორესპონდენტთან ჩინეთსა და საფრანგეთს შუა ჩამოკრძნით განხურობის შესახებ და, სხვათა შორის, უთქვამს, რომ ჩინეთსა და საფრანგეთს შუა ომი უთუოთ მოხდება, თუ ჩრანტრუხებმა ბანკინგი დაიპირესო; ამ შემთხვევაში უცხო ქვეყნულებსაც, რომელნიც ჩინეთში იმყოფებიან, უნდა ემიხედეთო.

— ინგლისურს გაზეთებში ვადდინგტონის მიერ წარმოთქმული სიტყვის გამო იწერებინან, რომ ფიქრთაც არავის მოსდის, ვითომც საფრანგეთს ჩინეთისა

ემინოდეს და არც არავის ეკვი აქვს, რომ საფრანგეთი დაამარცხებს ჩინეთსა, მაგრამ საქმე ის არის, რომ საფრანგეთი ჩინეთთან ომისგან არაფერს არ უნდა გამოელოდესო: არც დიდებას და არც არავითარ განსაკუთრებულ სარგებლობასო; ეს ომი მხოლოდ იმსხვერპლებს მრავალი ხალხის სიცოცხლესა, ფულსა და ძალიად ჩანთქვამს საუნჯეთა, რომელნიც ასრე საჭირონი არიან საფრანგეთისთვისო. ამას გარდა ეს ომი საფრანგეთს ისეთს გავრცელებულ მდგომარეობაში ჩააგდებს, რომლის წინააღმდეგა ბრძოლა ესლაც ვი ძნელად მისთვისო.

— გერმანიის მექვიადრე პრინცი თან ესლაც ესმინაში გენერალი ბლეიშენტალს, რომელიც საფრანგეთის დაუძინებულ მტრად ითვლება. ჩრანტრუხები დიდს მნიშვნელობას აწერენ ამ გარემოებას; ამათის აზრით, არც ის გარემოებაა მნიშვნელობას მოკლებული, რომ პრინცი ზღვით წავიდა, — ეს იმის ნიშნიაო, ამბობენ ჩრანტრუხები, რომ პრინცი მოკრძადა საფრანგეთის სამფლობელოზე გაუღასო. საუფრადღებო მოკვლენად მიანნათ აგრეთვე ისიც, რომ ესმინის ესგადრა უნდა გზაში მიეკვლოს პრინცი.

განსვალვანი

ინგლისის მალაზია


Maison de confiance

შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
1 შ. 10 შ.	1 შ. 40 შ.
— — 1—20	— — 1—60
— — 1—40	— — 1—80
— — 1—60	— — 2—
— — 1—80	— — 2—50
საუკეთესო 2—	— — 3—

იქვე ისუილება სხვა საქონელიც: თაფლები, რეკლავები, გრაფტები, ტურტკლეი, ჩაიდნები, გასაღებები, ღანბი, გოგზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, გაპო, კანფეტები, მურაბები, მაგუნზა, უნაგირები, კლეონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სასაცობი, მაგინტოშინ კალენკორა — სულ უკვლავად 25-დან 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედა 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისლას. (100—67)

ინგლისური რეინის პრამოტორი



ერთის საწოლი 7 მანეთიდან და ორის საწოლი 14 მანეთიდან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღახით გატენილი 5-დან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნიუთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანის მეტალის ნიუთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის გოგზები ჩანგლებითა, ფანდოსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფოგანი, საწურა-გები, რიუტები, გრაფინები, საქაშები, თეფშები, ბლუდები, სასალათოები, ტაშტები, სარძევეები, სამარელები, გარნიცის საფხეგები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანის-მოსის დასაჯადებლები, საბლო მაგრატლები, ვაქსები, უთოები, წისკილები, ხერხები, ქაღაბები, კლიტები, ინგლისის თოფები და რეკლავები, პიუბი, ზარიადები, ვაშლიულები, საფანგები, ნი-

ბები, ვატერპრუტები, სანტენი, სუფლები, წინდები, სუფრები, საჭურჭლები, საჭურჭლის რგოლები, ებაღიანი ტურტკლეი, მურაბები, გამფეტები, პიულები, სოუსები, ზღვის ბაღახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მალაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უფრადდება მაქცრეო. (100—21)

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იხალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, მორონტოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენიერად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქმელებსა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.

(30—30)

ინგლისის მალაზიაში

თინს-აპოპოვანი



გავ-გასტარი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-სა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კან. (100—68)

აქვე ისუილება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტები თავის ტვიჯის მოსამსახურებლად, ტუალეტის საპონი, ღუსები და სხვ.

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი პური რუსთის ფუქვილისა	—	1 გირ.	5 კ.
აჭაურის ფუქვილისა: პირველის ხარისხისა	—	1 გ.	3 კ.
მეორისა	—	1 გ.	2 1/2 კ.
ამავე ფუქვილ. თორნიში გამომცხვარი პირველის ხარისხისა	—	1 გ.	5 კ.
მეორისა	—	1 გ.	3 კ.
მესამისა	—	1 გ.	2 1/2 კ.

ჟვარის-მამის პური: პირველის ხარის. ღავაში	1 გ.	5 კ.
მეორის ხარის. ღავაში	1 გ.	3 1/2 კ.
მესამისა	—	1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი: პირველის ხარისხისა	—	1 გ.	8 კ.
მეორისა	—	1 გ.	7 კ.
სუკი	—	1 გ.	15 კ.
ცხვრის ხორცი	—	1 გ.	7 კ.

ღორის ღორცი: პირველის ხარისხისა	—	1 გ.	10 კ.
მეორისა	—	1 გ.	9 კ.

რეინის გზა

- თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.
- თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
- თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
- ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
- ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
- ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
- ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.
- ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.
- ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
- ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.